ხელშეკრულება N 115
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV79400000)
(CPV79419000)

ქ. თბილისი 18 ივლისი 2019 წელი

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ გვანცელაძის სახით, და შპს „საი გლობალ ჯორჯია“, წარმოდგენილი მისი დირექტორის გურამ ფერიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს“მართვის სისტემის (ხარისხის მენეჯმენტის სისტემის) საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 (ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, მოთხოვნები) მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საზედამხედველო (I საინსპექციო შემოწმება) მომსახურების (კლასიფიკატორის CPV- 79400000 კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 79419000) შესყიდვა.

2.2 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3.2 მომსახურების გაწევის ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) სამუშო დღის განმავლობაში.

3.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 29-29ა, მე-3 სართული, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვილებაზე.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ

ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

5.1.1 ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს მართვის სისტემის (ხარისხის მენეჯმენტის სისტემის) საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 (ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, მოთხოვნები) მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობის (I საინსპექციო შემოწმება) მომსახურების გაწევა;

5.1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემდეგი ტექნიკური დავალების შესაბამისად:

5.1.2.1 ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს ხარისხის მენეჯმენტის სისტემისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან ადეკვატურობისა და შესაბამისობის ანალიზი და შეფასება;

5.1.2.2 საინსპექციო შემოწმების შედეგებზე ანგარიშის გაფორმება და წარდგენა;

5.1.2.3 საჭიროების შემთხვევაში, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს მიერ შემუშავებული მაკორექტირებელი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი;

5.1.2.4 შემოწმების დადებითი შედეგებით დასრულების შემთხვევაში, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობაზე „SAI Global" სერტიფიკატის გაფორმება და გაცემა.

5.1.2.5 შემსყიდველის საქმიანობის შესახებ მიღებული ინფორმაცია მიაკუთნოს მკაცრად კონფიდენციალურს და არ მიაწოდოს იგი მესამე მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან დამკვეთის დავალებით.

5.1.3 ხარისხის მენეჯმენტის სისტემის საინსპექციო შემოწმების უარყოფითი შედეგებით დასრულების შემთხვევაში შემსყიდველს წარუდგინოს დოკუმენტირებულ უარი შესაბამისობის სერთიფიკატის დადასტურებეზე. ასეთი დოკუმენტები უნდა იყოს გამოვლენილი შეუსაბამობის აქტებით.

5.1.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.1.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა საჭირო დოკუმენტაცია ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

5.2.2უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გამოყოფილი ექსპერტების თავისუფალი დაშვება ყველა ქვედანაყოფში, რომელთა საქმიანობაც ხორციელდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ჩარჩოებში;

5.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გამოყოფილი ექსპერტები სამუშაო ფართითა და კომუნიკაციის საშუალებით (საჭიროების შემთხვევაში).

5.2.4უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.3.1 შესაბამისობის ნიშნების გამოყენების წესის დაუცველობის ან საინსპექციო შემოწმების სამუშაოების აუნაზღაურბლობის შემთხვევაში, სეტიფიკაციის ორგანო „SAI Global"-თან შეთანხმებით, შეაჩეროს შესაბამისობის სერთტიფიკატის მოქმედება ან გააუქმოს იგი.

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსახურების გაწევის დროს.

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროს განახორციელებს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

7.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელები პირ(ებ)ის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2 მომსახურებს მიღებას აწარმოებს: ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

11.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი":

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო"
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29-29ა; მე-3 სართული;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

ს/კ 404905475
ტელ: 599 00 24 23
დირექტორი

_____ ბახაბერი გვანცელაძე

„მიმწოდებელი":

შპს „საი გლობალ ჯორჯია"

მისამართი: 0114, ქ. თბილისი, გორგასალის ქ. 51

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE18TB7941536020100002

ს/კ 200192111
ტელ: 2148707, 599 774707
დირექტორი

_____ გურამ ფერიშვილი